ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №490227

ნომერი: AR197978

თარიღი : 12.12.2012

გაცემის თარიღი : 28.12.2012

გაცნობის თარიღი : 04.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან, (ნაკვეთი N1/37) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , მიმდებარედ (ნაკვეთი 01/045) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ კაციტაძე პ/ნ 01024029229
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 30ა ბ. 63

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #391 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2012 წლის 12 დეკემბერს #AR197978 განცხადებით მომართა ნუგზარ კაციტაძემ და მოითხოვა საპროექტო ობიექტის ფუნქციის მიწისქვეშა ავტოსადგომის დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 30.03.2011 წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ დიდუბე-ჩუღურეთის რ/ნ–ში, საოფისე შენობა-

ნაგებობის აშენების მიზნით დადგენილ იქნა #391 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საკერრეაციო ზონა-2. სადაც „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად, დასაშვებია საოფისე შენობა-ნაგებობის ფუნქციის მქონე ობიექტების განთავსება. ამასთან ვინაიდან ხდება მიწისქვეშა ავტოსადგომის დამატება შენიშვნის სახით სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა დაფიქსირდეს, რომ: დაცულ იქნეს ტერიტორიაზე მოქმედი ვალდებულება (სერვიტუტი).

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 30.03.2011 წ. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის #391 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საოფისე შენობა-ნაგებობის ფუნქციის მქონე ობიექტს დაემატოს მიწისქვეშა ავტოსადგომის;
2. შენიშვნის სახით სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს, რომ: მიწისქვეშა ავტოსადგომის განთავსებისას, დაცულ იქნეს ტერიტორიაზე მოქმედი ვალდებულება (სერვიტუტი);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.03.2011 წ. #391 სამშენებლო მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და 10.09.2012 წ. #383930 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.